სსიპ-გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

Legal Entity of Public Law-Gori State Teaching University

აკადემიური საბჭო

დადგენილება № 09-20

გორი 23 03 2018წ.

სსიპ-გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმის დამტკიცების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის „ს" ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 3 სექტემბრის N125/ნ ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის წესდების მე-9 მუხლის პირველი პუნქტის „ქ" ქვეპუნქტისა და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის (22.03.2018. N322352) სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე აკადემიურმა საბჭომ

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. დამტკიცდეს სსიპ-გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი დანართის შესაბამისად;

2. კანცელარიის უფროსს დაევალოს ეს დადგენილება განათავსოს ყველასათვის თვალსაჩინო ადგილას;

3. ეს დადგენილება ძალაში შევიდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

4. ამ დადგენილების გასაჩივრება შესაძლებელია მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში (თბილისი, უზნაძის №52), შემდეგ გორის რაიონულ სასამართლოში (გორი, ჯორბენაძის №30).

რექტორი გორგი სოსიაშვილი

დანართი

სსიპ-გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი

შეფასების პროცესის კოორდინაცია

საგანმანათლებლო პროგრამის (შემდგომში-პროგრამა) სწავლის შედეგების შეფასების პროცესს ახორციელებს პროგრამის შეფასების ჯგუფი, რომელიც იქმნება ფაკულტეტის დეკანის განკარგულებით. პროგრამის შეფასების შეფასების ჯგუფის მუშაობას კოორდინაციას უწევს ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წევრი. პროგრამის შეფასების ჯგუფში ჩართული უნდა იყვნენ პროგრამის ხელმძღვანელი, ფაკულტეტის ადმინისტრაციის წარმომადგენელი, პროგრამაში ჩართული პერსონალისა და მოწვეული სპეციალისტების, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების წარმომადგენლები.

შეფასების გეგმა

შეფასების ჯგუფი შეიმუშავებს პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების გეგმას და დასამტკიცებლად წრუდგენს ფაკულტეტის დეკანს.

შეფასების გეგმაში ნათლად უნდა იყოს ასახული პროგრამის თითოეული სწავლის შედეგის შეფასების ეტაპი;

კონკრეტული სწავლის შედეგის შეფასების ეტაპი უნდა იყოს განსაზღვრული ისე, რომ იძლეოდეს სტუდენტის მიერ შეძენილი შესაბამისი კომპეტენციების შეფასების შესაძლებლობას;

მიზანშეწონილია, რომ ერთი წლის განმავლობაში შეფასდეს არაუმეტეს 3 სწავლის შედეგის, თანაც ისე, რომ ყველა სწავლის შედეგის შეფასებისათვის საჭირო დროის პერიოდი არ აღემატებოდეს პროგრამის ხანგრძლივობას;

თითოეული სწავლის შედეგის შეფასებისათვის უნდა იყოს მითითებული პროცესში გამოყენებული, როგორც პირდაპირი, ისე არაპირდაპირი შეფასების მეთოდები;

სწავლის შედეგის შეფასების პერიოდულობა უნდა ითვალისწინებდეს დარგის სპეციფიკას, მოიცავდეს შეფასების ადეკვატურ ფორმებსა და მეთოდებს, რომლებიც სტუდენტების მიერ საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის დადგენის საშუალებას იძლევა;

შესაძლებელია, რომ შეფასების ერთიდაიმავე ინსტრუმენტით განხორციელდეს რამდენიმე სწავლის შედეგის შეფასება;

შესაფასებელი სტუდენტების რაოდენობა უნდა იძლეოდეს პროგრამის ფარგლებში სწავლის შედეგის მიღწევის თაობაზე ადეკვატური ინფორმაციის მიღების შესაძლებლობას;

შეფასება

პროგრამის სწავლის შედეგის შეფასება მიზანშეწონილია განხორციელდეს რამდენიმე შეფასების ინდიკატორის გამოყენებით;

პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ინდიკატორის სახით შესაძლებელია ე.წ. შეწონილი შეფასების გამოყენება.

პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მიზნით თითოეული სასწავლო კურსის პასუხისმგებელი ლექტორი სემესტრის დასაწყისში შეფასების ჯგუფს წარუდგენს სასწავლო კურსით გათვალისწინებული თითოეული სწავლის შედეგის (რომელიც უნდა შეესაბამებოდეს პროგრამის ერთერთ სწავლის შედეგს) შეფასების შესაძლო მაქსიმალურ ქულას;

სემესტრის დასრულებისთანავე სასწავლო კურსის პასუხისმგებელი ლექტორი შეფასების ჯგუფს წარუდგენს თითოეული სტუდენტის შეფასებას სასწავლო კურსით გათვალისწინებული თითოეული სწავლის შედეგის მიხედვით;

პროგრამის სწავლის შედეგის (რომლის შეფასებაც ხორციელდება) რელევანტური სასწავლო კურსების ლექტორების მიერ წარმოდგენილი წინა პუნქტით განსაზღვრული მონაცემების საფუძველზე, შეფასებაში ჩართული თითოეული სტუდენტისათვის განისაზღვრება პროგრამის მოცემული სწავლის შედეგის შეწონილი შეფასება შემდეგი გამოსახულებით:

$$P=(G_1 + G_2 + \ldots + G_N)/(G_{1max} + G_{2max} + \ldots + G_{Nmax})$$

სადაც G_i წარმოადგენს პროგრამის მოცემული სწავლის შედეგის შეფასებას i-ურ სასწავლო კურსში, ხოლო G_{imax} – სწავლის ამ შედეგის შეფასების შესაძლო მაქსიმალურ მნიშვნელობას ამავე სასწავლო კურსისათვის.

სწავლის შედეგი	შეფასების ინდიკატორი	ვერ აკმაყოფილებს მოთხოვნას	შეესაბამება მოთხოვნას	აღემატება მოთხოვნას
სწავლის შედეგი (1)	ინდიკატორი (1)			
	ინდიკატორი (2)			
სწავლის შედეგი (2)				

სტუდენტების რაოდენობა, რომელთა სწავლის შედეგის შეწონილი შეფასება ნაკლებია 51 ქულაზე, მიეთითება რუბრიკის სვეტში „ვერ აკმაყოფილებს მოთხოვნას" სათანადო ინდიკატორის სტრიქონში;

სტუდენტების რაოდენობა, რომელთა სწავლის შედეგის შეწონილი შეფასების ქულა მოთავსებულია 51-დან 75-მდე ინტერვალში, მიეთითება რუბრიკის სვეტში „შეესაბამება მოთხოვნას" სათანადო ინდიკატორის სტრიქონში;

სტუდენტების რაოდენობა, რომელთა სწავლის შედეგის შეწონილი შეფასება მეტია 75 ქულაზე, მიეთითება რუბრიკის სვეტში „აღემატება მოთხოვნას" სათანადო ინდიკატორის სტრიქონში;

პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების თაობაზე სრული ინფორმაციის მისაღებად აუცილებელია, აგრეთვე, მისი მიღწევის შეფასება არაპირდაპირი შეფასების გზით (სტუდენტების, პერსონალის, პრაქტიკის პროცესში ჩართული პირების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების გამოკითხვა, ინტერვიუ შესაბამის ფოკუს-ჯგუფებთან და სხვ.).

პროგრამის სწავლის შედეგის შეფასება თითოეული შეფასების ინდიკატორის მიხედვით განისაზღვრება შეფასებაში ჩართული სტუდენტებიდან იმ სტუდენტების პროცენტული რაოდენობით, რომელთა შეფასება შეესაბამება ან აღემატება მოთხოვნას;
პროგრამის სწავლის შედეგის საბოლოო (შემაჯამებელი) შეფასება წარმოადგენს ყველა რელევანტური ინდიკატორის მიხედვით მიღებული პროცენტული მაჩვენებლების საშუალო არითმეტიკულ სიდიდეს;

პროგრამის სამიზნე ნიშნულები თითოეული სწავლის შედეგისათვის მიმდინარე ეტაპზე განისაზღვრება 70%-ით.

შესაბამისად, თუ პროგრამის სწავლის შედეგის საბოლოო შეფასება აღემატება 70%-ს, სწავლის შედეგი ჩაითვლება მიღწეულად.

შეფასების ციკლის დასასრული - შეფასების უკუკავშირი

შეფასების შედეგების შეგროვებისა და ანალიზის საფუძველზე, სწავლის შედეგების შეფასების შედეგების დადარებით სამიზნე ნიშნულებთან უნდა განისაზღვროს სტუდენტების მიერ პროგრამის სწავლის შედგის მიღწევის ხარისხი. შეფასების ციკლის უმნიშვნელოვანეს კომპონენტს წარმოადგენს იმ გადაწყვეტილებებისა და რეკომენდაციების შემუშავება, რომელიც უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგის გაუმჯობესებას სასწავლო კურსისა და პროგრამის დონეზე. შეფასების პროცესი უზრუნველყოფს უკუკავშირს სასწავლო კურსებისა და პროგრამის უწყვეტი განვითარებისათვის. შეფასების შედეგები უნდა იყოს გაზიარებული ფაკულტეტის ფარგლებში, რასაც თან უნდა ახლდეს დისკუსია სწავლის შედეგების მიღწევის გაუმჯობესება. აღნიშნული დისკუსიის ძირითადი საკითხებია:

- <u>რა</u> უნდა შეიცვალოს: საჭიროა სასწავლო კურსში სპეციფიური მასალის ჩართვა თუ საკმარისია არსებული მასალის კონკრეტული ნაწილის გაფართოება (ან შეკვეცა)?
- <u>სად</u> უნდა შეიცვალოს: საჭიროა სპეციფიური მასალის შეთავაზება ინდივიდუალური სპეციალური სასწავლო კურსის სახით თუ უმჯობესია ამ მასალის გადანაწილება პროგრამის სხვადასხვა სასწავლო კურსებში;
- <u>როგორ</u> უნდა შეიცვალოს: საჭიროა ძირითადი სასწავლო კურსების ადრეულ სემესტრებში გადატანა თუ უმჯობესია სტუდენტისათვის ამ კუთხით მეტი თავისუფლების მინიჭება;
- <u>სწავლის შედეგის ცვლილება</u>: შეფასების შედეგად შესაძლებელია დადგინდეს სწავლის შედეგის მოდიფიცირების საჭიროება;
- <u>შეფასების კრიტერიუმის ცვლილება</u>: შეფასების შედეგად შესაძლებელია დადგინდეს შეფასების კრიტერიუმის მოდიფიცირების საჭიროება;

შეფასების ანგარიში უნდა წარედგინოს ფაკულტეტის დეკანს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს და სასწავლო პროცესის მართვის სამსახურს სათანადო რეაგირებისათვის.

საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების გეგმა

აკადემიური წელი	შესაფასებელი სწავლის შედეგი	სწავლის შედეგები კვალიფიკაციათა ჩარჩოს შესაბამისად	სასწავლო კურსები	სამიზნე ნიშნული	შეფასების მეთოდები	უწყვეტი განვითარება

შეფასების ანგარიში

პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ანგარიში უნდა მოიცავდეს პასუხებს ქვემოთ წარმოდგენილ კითხვებზე:

1. წინა წლის შეფასების შედეგების საფუძველზე განხორციელდა თუ არა რაიმე სახის ცვლილება პროგრამის სწავლის შედეგების შეფასებაში (მაგალითად, სწავლის შედეგებში, შეფასების გეგმაში, შეფასების ინსტრუმენტებში -შეფასების მეთოდებში, რუბრიკაში, კურიკულუმის რუკაში და სხვ.)?
    - თუ პასუხი დადებითია, ჩამოთვალეთ განხორციელებული ცვლილებები და აღწერეთ, როგორ განახორციელეთ მათი იმპლიმენტაცია;
    - როგორ შეგიძლიათ დაასაბუთოთ, რომ გატარებული ცვლილებები მიაღწევენ დასახულ შედეგს?
2. წინა წლის შეფასების შედეგების საფუძველზე განხორციელდა თუ არა სხვა რაიმე სახის ცვლილება ფაკულტეტის ან/და უნივერსიტეტის რომელიმე სტრუქტურული ერთეულის დონეზე?
    - თუ პასუხი დადებითია, ჩამოთვალეთ განხორციელებული ცვლილებები და აღწერეთ, როგორ განახორციელდა მათი იმპლიმენტაცია;
    - როგორ შეგიძლიათ დაასაბუთოთ, რომ გატარებული ცვლილებები მიაღწევენ დასახულ შედეგს?
3. რომელი სწავლის შედეგები შეაფასეთ მიმდინარე აკადემიური წლის განმავლობაში?
4. რომელი მეთოდები გამოიყენეთ მონაცემთა შეგროვების მიზნით?
5. რომელი კრიტერიუმები/სტანდარტები გამოიყენეთ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მიზნით?
6. რომელი მონაცემები შეაგროვეთ? როგორია შედეგები და ძირითადი მიგნებები, აგრეთვე იმ სტუდენტთა პროცენტული რაოდენობა, რომლებიც აკმაყოფილებენ სტანდარტების მოთხოვნებს.
    - რომელ სფეროში აკმაყოფილებენ სტუდენტები სტანდარტის მოთხოვნებს?
    - რომელ სფეროშია საჭირო სტუდენტების მიერ სწავლის შედეგების მიღწევის გაუმჯობესება?
7. მიმდინარე წლის შეფასების შედეგად გაქვთ თუ არა მოლოდინი ან კონკრეტული წინადადება პროგრამაში ცვლილებების შეტანის თაობაზე (მაგალითად, სასწავლო გეგმაში, სტრუქტურაში, სწავლის შედეგებში ან სხვ.)?
    - თუ პასუხი დადებითია, ჩამოთვალეთ როგორი ცვლილებების მოლოდინი გაქვთ და აღწერეთ, როგორ განახორციელებთ მათ იმპლიმენტაციას;
    - როგორ შეგიძლიათ დაასაბუთოთ, რომ ამგვარი ცვლილებები მიაღწევენ დასახულ შედეგს?
8. რომელი სწავლის შედეგების შეფასებას გეგმავთ მომავალ წელს? როგორ?